საპატიო ადგილზე

ლენინგრადში გამართულ მძლეოსანთა ზამთრის საკავშირო პირველობაზე წარმატებით გამოვიდა ჩვენი რესპუბლიკის ზოგიერთი სპორტსმენი. ეს განსაკუთრებით ითქმის რ. შავლაყაძის, ი. დიაჩკოვისა და ო. ხოლოდოკის შესახებ.

ამ შეჯიბრებაში სიმაღლეზე ხტომაში 9 სპორტსმენმა დაძლია ოსტატის ზღვარი — 2 მეტრი, ხოლო სამმა—ვ. ბოლშოვმა, რ. შავლაყაძემ და ვ. დიკმა — 2.05 მ. შემდეგი სიმაღლე — 2.10 მ პირველი ცდით აიღეს რ. შავლაყაძემ და ვ. ბოლშოვმა. 215 სმ-ის დაძლევით პირველი ადგილი დარჩა ვ. ბოლშოვს. რ. შავლაყაძე მეორე ადგილზე გამოვიდა.

როგორც ვიტყობინებოდით, ექვსჭიდში 5873 ქულის მოგროვებით ვ. ბრუმელმა დაამყარა საკავშირო რეკორდი. ი. დიაჩკოვმა 100 მ რბენაში აჩვენა 11,1, სიგრძეზე გადახტა 7.09 მ-ზე, ბირთვი ჰკრა 14 მ 37 სმ-ზე, დაძლია 184 სმ სიმაღლე, 110 მ თარჯრბენში აჩვენა 14,4 წ და ჭოკით დაძლია 4 მ, რითაც ექვსჭიდში მოაგროვა 5039 ქულა, რაც საკმარისი აღმოჩნდა მეორე ადგილისათვის. ექვსჭიდში მეოთხე ადგილზე გამოვიდა ო. ხოლოდოკი — 4232 ქულა.

28
მარტი
ხუთშაბათი,
1963 წ.
№ 62 (2167)
გამოცემის მე-19 წელი.
ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისში, „ბურევესტნიკის" სტადიონზე დაიწყო „განთიადის," „ნეფტიანიკის", „აშხატანქისა" და „მოლდოვას" მძლეოსანთა შეჯიბრება.

* * *

სურათზე: შეჯიბრების მონაწილენი მარცხნიდან მარჯვნივ — ს. ტონოიანი (სომხეთი), ი. ტრეტიაკი (აზერბაიჯანი), ა. ბაგური (საქართველო) და ვ. საპოუნიკი (მოლდავეთი).

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

ორი დისტანცია

მურმანსკის მოთხილამურეთა საკავშირო პირველობის მეოთხე და მეხუთე დღეს გამოვლინდნენ ჩვენი ქვეყნის ახალი ჩემპიონები. ქალთა 10 კმ დისტანციაზე კვლავ მიუწვდომელი იყო მოსკოველი ა. კოლჩინა. მიუხედავად იმისა, რომ მას კარგახანს ფეხდაფეხ მისდევდნენ ლენინგრადელი ე. მეკშილო და მოსკოველი ფ. ფაიზრახმანოვა, მან დისტანციის ნახევრის შემდეგ მაინც შეძლო დაწინაურება, აჩვენა 43,11 და 55 წამით აჯობა მეორე ადგილზე გამოსულ ფ. ფაიზრახმანოვას. ე. მეკშილო გამოვიდა მესამე ადგილზე — 44.09.

ვაჟთა ესტაფეტაში 4X10 კილომეტრზე გამარჯვების ძირითადმა პრეტენდენტებმა ცსკა-ს, „დინამოსა" და „ბურევესტნიკის" გუნდებმა ერთნაირ დროში განვლეს ორი ეტაპი, დინამოელთაგან მესამე ეტაპზე გამოდიოდა პ. კოლჩინი, რომელმაც 28 წამის უპირატესობა მოიპოვა, მაგრამ მეოთხე ეტაპზე არმიელმა გ. ვაგანოვმა არა მარტო გამოასწორა ჩამორჩენა, არამედ პირველმა დაამთავრა შეჯიბრება და გამარჯვება მოუტანა თავის გუნდს. დინამოელებს გაასწრეს სტუდენტებმაც, რის გამოც „დინამოს" მოთხილამურენი მესამე ადგილით დაკმაყოფილდნენ.

სურათზე: საქართველოს მოსწავლე ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრების პრიზიორებს: რ. განუგრავას (შუაში), ვ. ადამაშვილსა (მარჯვნივ) და ი. რომელაშვილს გადასცემენ სიგელებს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

პარტია გადაიდო

მოსკოვის ესტრადის თეატრში გაიმართა მესამე პარტია მსოფლიო პირველობაზე ჭადრაკში მ. ბოტვინიკსა და ტ. პეტროსიანს შორის. მოწინააღმდეგეებმა გაითამაშეს ახალინდური დაცვა. შუა თამაშში პეტროსიანმა მოიგო პაიკი და პოზიციური უპირატესობა მიიღო.

პარტია ამ დღეს არ დამთავრებულა. იგი გადაიდო ორმოცდამეერთე სვლაზე, რომელიც ჩაიწერა მსოფლიო ჩემპიონმა.

დღეს მოეწყობა გადადებული პარტიის დამთავრება.

დღეს პირველი ტური

გუშინ თბილისში, ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში საზეიმოდ გაიხსნა საქართველოს ქალთა 1963 წლის პირველობა ჭადრაკში.

მიმდინარე წლის პირველობას ნაწილობრივ მიმზიდველობას უკარგავს ის, რომ მასში საპატიო მიზეზის გამო არ მონაწილეობენ მსოფლიო ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი, ოსტატები მ. ტოგონიძე და ე. კაკაბაძე. სამაგიეროდ, ტურნირში ჩემპიონის სახელისათვის საერთაშორისო ოსტატ ა. ჩაიკოვსკაიას (რუსთავი), ქ. გოგიავასა და ლ. ნაქუების მხარდამხარ იბრძოლებენ, ნიჭიერი ახალგაზრდები თბილისის ჩემპიონი ც. კახაბრიშვილი, 13 წლის პირველთანრიგოსნები ნ. ალექსანდრია და ლ. კორომინაძე და სხვები. ტურნირის 16 მონაწილეთა შორის არიან ბათუმის, სოხუმის, ქუთაისის, გორისა და ფოთის წარმომადგენლებიც.

ტურნირის მთავარმა მსაჯმა ლ. წეროძემ, მონაწილეთათვის პირველობის დებულების გაცნობის შემდეგ, მოაწყო კენჭისყრა. დღეს შედგება I ტური.

სტუმრები ჰოლანდიიდან

ჩვენი რესპუბლიკის უძლიერეს წყალბურთელებთან შეხვედრების ჩასატარებლად თბილისში ჩამოდის ჰოლანდიის ეროვნული ნაკრები გუნდი. როგორც ცნობილია, ამ კოლექტივმა პირველი ამხანაგური საერთაშორისო მატჩები ჩაატარა მოსკოვში და ორივე შეხვედრაში დამარცხდა — ჯერ მოსკოვის ნაკრებთან (2:4), ხოლო შემდეგ რსფსრ-ს წყალბურთელებთან (0:2).

ჰოლანდიელი წყალბურთელები ერთ-ერთი უძლიერესნი არიან ევროპაში. ამაზე მეტყველებს ისიც, რომ ამ ქვეყნის გუნდი 1908 წლიდან მონაწილეობს ოლიმპიურ თამაშებში და მსოფლიოს წამყვანი გუნდებისათვის ყოველთვის ძლიერ მეტოქეს წარმოადგენს. ჰოლანდიელმა სპორტსმენებმა უველაზე დიდი წარმატება მოიპოვეს 1948 წელს ლონდონის ოლიმპიურ თამაშებში, როცა მათ მესამე საპრიზო ადგილი დაიკავეს. ისინი წარმატებით გამოდიოდნენ აგრეთვე ევროპის ჩემპიონატებში. ჰოლანდიის გუნდი მეორე იყო 1938 წლის გათამაშებაში, ხოლო პირველი — 1950 წელს. მანვე დაისაკუთრა აგრეთვე „იტალიის თასი" 1949 წელს.

საბჭოთა და ჰოლანდიელი წყალბურთელები დიდი ხნის მეგობრები არიან. მოსკოვში გამართული მატჩი რსფსრ-ს სპორტსმენებთან ეს იყო ჩვენი და ჰოლანდიელი ოსტატების მე-14 შეხვედრა, რომლებთაგან 11-ში გამარჯვება მოიპოვეს საბჭოთა სპორტსმენებმა.

ჰოლანდიელ წყალბურთელებს აქვთ ერთი მეტად დამახასიათებელი თვისება. ისინი არ უცდიან კარის აღების რეალურ მომენტს, პირველი შესაძლებლობის შემთხვევაშიც კი ბურთს ტყორცნიან მეტოქის კარისაკენ.

ჰოლანდიელ წყალბურთელთა თავდასხმის ლიდერია ჰ. ალბერტსი, რომელიც თითქმის შეუცდომლად ტყორცნის მოწინააღმდეგის კარში. ძლიერად გამოიყურება დაცვის ხაზი, სადაც საიმედოდ თამაშობენ მეკარე ფ. დე ფრიზი, მცველები ვ. ვან სპინგელენი, ჰ. ვორმჰორი.

საქართველოს და ჰოლანდიის წყალბურთელთა შეხვედრა დიდ ინტერესს იწვევს. ჩვენ გვეცნობით ჰოლანდიის წყალბურთს, ამასთან ეს იქნება ჩვენ სპორტსმენთათვის კარგი რეპეტიცია ხალხთა III სპარტაკიადის მზადების პერიოდში.

სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადაზე საქართველოსა და რსფსრ-ს წყალბურთელთა მატჩი ერთ-ერთი ცენტრალური იქნება. ამიტომ იყო, რომ ამ ორმა გუნდმა გადაწყვიტა არ „დაეცადა" სპარტაკიადისათვის, ძალების მოსინჯვის მიზნით ამხანაგურ მატჩში შეხვედროდნენ ერთმანეთს. თამაში გაიმართა გუშინ ფიზკულტურელის პარკის საცურაო აუზში. საქართველოს ნაკრები უმთავრესად დაკომპლექტებული იყო თბილისის „დინამოს" მოთამაშეებიდან. მატჩი ჩვენი რესპუბლიკის წყალბურთელთა უპირატესობით მიმდინარეობდა, რომლებმაც დაამარცხეს მეტოქე ანგარიშით 8:1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცენტრალურმა საკონსტრუქტორო-ექსპერიმენტალურმა ბიურომ შექმნა 500 კბ სმ კლასის ახალი მოტოციკლი „კრ—5“.

სურათზე: ახალი მანქანა გადის გამოცდას. სულ მალე სპორტსმენები მიიღებენ ამ ტიპის მოტოციკლებს საექსპლოატაციოდ.

საკდესის ფოტოქრონიკა.

თბილისი

ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთმშენებლობის სამმართველოს საკონსტრუქტორო ბიუროში მოეწყო გუნდური პირველობა ჭადრაკში განყოფილებებს შორის ხუთ დაფაზე.

პირველი ადგილისათვის ბრძოლა თავიდანვე წარიმართა მე-2 და მე-4 განყოფილებებს შორის. გადამწყვეტ შეხვედრაში გამარჯვება და პირველი ადგილი დარჩა მე-4 განყოფილებას.

გ. ზოზიაშვილი

წნორი

ამ დღეებში დაბა წნორის ქართულ საშუალო სკოლას ესტუმრნენ ზნაურის საშუალო სკოლის მოსწავლე-სპორტსმენები სამხრეთ ოსეთიდან. სტუმრები გულდასმით გაეცნენ სიღნაღის რაიონს, დაათვალიერეს სკოლის სპორტული ბაზები, გაეცნენ სპორტულ მუშაობას. შემდეგ მოეწყო შეჯიბრება კალათბურთსა და ფრენბურთში.

ფრენბურთში ანგარიშით 2:0 როგორც გოგონებში, ისე ვაჟებში გაიმარჯვეს წნორელებმა. გამარჯვება კალათბურთშიც წნორელებს დარჩათ. ვაჟებმა მოიგეს — 76:38, ხოლო გოგონებმა — 30:18.

მაისში წნორელი მოსწავლეები ესტუმრებიან ზნაურელებს.

ფ. ჯავაშვილი

[illegible]

სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადისათვის მზადებაში ჩაბმულია ლენინგრადის სპორტული ტრიკოტაჟის ექსპერიმენტალური ფაბრიკაც, რომელიც მონაწილეთათვის სპორტულ ფორმებს ამზადებს.

სურათზე: ფაბრიკის მუშაკები საწვრთნელი კოსტუმების დემონსტრირებას ახდენენ.

სპორტსმენის კვება შეჯიბრების პერიოდში

რაციონალურ კვებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის, კერძოდ, სპორტსმენის მაღალი შრომისუნარიანობის შენარჩუნების საქმეში.

სპორტსმენის მაღალი გავარჯიშება, ანუ ე. წ. „სპორტული ფორმის“ მდგომარეობა, გარდა მთელი რიგი ნიშნებისა, ხასიათდება კარგი მადით და იმ საკვები პროდუქტების მიღებით, რაც აუცილებელია დახარჯული ენერგიის აღსადგენად.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სპორტსმენის კვების სწორ ორგანიზაციას შეჯიბრების პერიოდში. ექიმმა, რომელიც შეჯიბრების საორგანიზაციო კომიტეტის მიერ გაპიროვნებული იქნება ძირითადად სპორტსმენთა კვების საქმეზე, საჭიროა იზრუნოს ისეთ ღონისძიებათა გატარებაზე, როგორიცაა: 1. სპორტსმენთა სამჯერადი კვების ორგანიზაცია, 2. კვების ბლოკის სან-ჰიგიენური მდგომარეობის შესწავლა, 3. სამზარეულოს მუშაკების ინსტრუქტაჟი სპორტსმენთა კვების თავისებურებების საკითხებთან დაკავშირებით, 4. შეჯიბრების გრაფიკის გათვალისწინებით სპორტსმენთა კვების საათების განსაზღვრა, 5. პროდუქტების შერჩევა და რაციონის სწორად განაწილება, 6. საკვებ პროდუქტზე რეგულარული სანიტარული მეთვალყურეობის დაწესება და ყველა ახლადდამზადებული კერძის შემოწმება, 7. სპორტსმენთა მიერ სხეულის წონის დაკლების შემთხვევაში კვების ინდივიდუალიზაციის გათვალისწინება, 8. საკვები პროდუქტების გამდიდრება ვიტამინებით, 9. სპორტული შეჯიბრების პროცესში (მარათონული ცურვა და რბენა, ველოგადარბენა და სხვ.) მონაწილეთა უზრუნველყოფა სპეციალური საკვები ხსნარებითა და სხვა საჭირო პროდუქტებით.

ვინაიდან ორგანიზებულ კვებას დიდი მნიშვნელობა აქვს სპორტსმენთა სპორტული მიღწევების თვალსაზრისით, ყველა სახის შეკრებისა და შეჯიბრების პერიოდში მათი კვება უნდა წარმოებდეს სპეციალურად შერჩეულ სასადილოებში. თვითეულ სპორტსმენს ეძლევა სამჯერადი კვებისათვის სპეციალური ტალონი, რომლითაც იგი იკვებება ექიმისა და უფროსი მზარეულის მიერ გათვალისწინებული მენიუთი. მაგრამ აქვე საჭიროა აღინიშნოს ისიც, რომ რიგ შემთხვევებში (სპორტსმენთა დიდი წონა, შეჯიბრებაში გამოსვლის დღე და ა. შ.) აუცილებლობა მოითხოვს ზოგიერთ სპორტსმენთა მიმართ ექიმმა დაიცვას ინდივიდუალური მიდგომის პრინციპი და შეუცვალოს საჭიროების მიხედვით საკვები.

სპორტსმენთა რაციონალური კვება გულისხმობს ნაირსახოვანი საკვების მიღებას. ფიზიოლოგიური თვალსაზრისით უმჯობესია, რომ საკვები რაც შეიძლება მრავალფეროვანი იყოს.

სადღეისოდ დადგენილია, რომ დღე-ღამის განმავლობაში სპორტსმენმა უნდა მიიღოს 100-140 გრამი ცხოველური, ხოლო 15-25 გრამი მცენარეული ცხიმი, 700-800 გრამი ნახშირწყლები და 150-200 გრამი ცილები. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მარილების 15-25 გრ. და ვიტამინების (განსაკუთრებით B, C) მიღებას, ვიტამინებით საკვები პროდუქტების გამდიდრებას, ან უშუალოდ მათი აბების სახით მიღებას საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს ხანგრძლივი სპორტული მუშაობის პროცესში (ველოგადარბენა, მარათონული რბენა, სპორტული სიარული და სხვ.).

საჭმლის მიღება შემდეგი განრიგით უნდა წარმოებდეს: დილის საუზმე საჭიროა შეიცავდეს საერთო საკვების 30-35 პროცენტს, სადილი—35-40, ხოლო ვახშამი 25-30 პროცენტს. იმ შემთხვევაში, თუ შეჯიბრება ტარდება საღამოთი, სადილი უნდა შეიცავდეს ადვილად მოსანელებელ პროდუქტებს (მაგალითად, ბულიონი, მოხარშული ან მოშუშული ხორცი, ბოსტნეული, ვიტამინიზირებული კისელი ან კომპოტი და სხვ.), მაგრამ კალორიულად იგი მდიდარი უნდა იყოს. შეჯიბრებაში მონაწილეობის წინა დღეებში საუზმე უნდა შედგებოდეს თევზის, ქათმისა და საქონლის ხორცისაგან, ხაჭოს ნაწარმის, სხვადასხვა ფაფების, კარტოფილისა და ფქვილის (საკონდიტრო) ნაწარმისაგან. ვახშამზე მიღებულ საკვებში არ უნდა იყოს ისეთი პროდუქტები (მაგ. შემწვარი ხორცი, შოკოლადი, მაგარი ჩაი ან ყავა, მლაშე ყველი და სხვ.), რომლებიც გამოიწვევენ ნერვული და საჭმლის მომნელებელი სისტემის გაღიზიანებას.

სპორტსმენთა კვების რაციონის შედგენის დროს საჭიროა მხედველობაში იქნას მიღებული სპორტის სახეობაც, ვინაიდან სპორტის გარკვეულ სახეობაში წარმოებულ კუნთურ მუშაობას თავისი დამახასიათებელი ენერგეტიკული ხარჯვა გააჩნია.

ხანგრძლივი და დაძაბული სპორტული გამოსვლების დროს თავიდან რომ ავიცილოთ მეტად არასასიამოვნო გართულებები (მაგ. ორგანიზმის ნახშირწყლებისაგან გაღარიბება), სპორტსმენს ყოველმიზეზგარეშე უნდა მიეცეს სპეციალურად დამზადებული ხსნარები და სხვადასხვა ცილოვანი პროდუქტები. ყველა ეს პროდუქტები არ უნდა იწვევდნენ სპორტსმენში წყურვილსა და პირში სიმშრალეს, ადვილად იწოვებოდეს. ამ თვალსაზრისით გამოიყენება გლუკოზა, ასკორბინის მჟავა, ლიმონის სიმჟავე და მინერალური მარილები. ერთ-ერთ ასეთ გავრცელებულ ნარევს წარმოადგენს პროფ. ნ. იაკოვლევის მიერ მოწოდებული ხსნარი, რომელიც შეიცავს: 50 გრ. შაქარს, 50 გრ. გლუკოზას, 40 გრ. ახლადგაწურულ ხილის წვენს, 0,5 გრ. ასკორბინის სიმჟავეს, 0,5 გრ. ლიმონის სიმჟავეს, 2 გრ. ფოსფორმჟავა ნატრიუმის მარილს, 1 გრ. სუფრის მარილს და 200 გრ. წყალს. ჩვეულებრივ, ამ ხსნარს სპორტსმენი დისტანციის გავლის დროს სპეციალურ საკვებ პუნქტებზე, ან კიდევ წინასწარ გაანგარიშებულ დროს ღებულობს 0,5-1 ჩაის ჭიქის რაოდენობით.

გარდა აღნიშნული ხსნარებისა, ფართო გამოყენება აქვს შეჯიბრების პერიოდში ისეთი სპეციალური საკვების გამოყენებას, როგორიცაა ნახევრადვიტამინიზებული დრაჟე, ცილოვანი შოკოლადის ბრიკეტები და სხვ. ასეთი კვების გამოყენება მიზანშეწონილია აგრეთვე უშუალოდ შეჯიბრების დაწყების წინ, ე. წ. სასტარტო მდგომარეობაში.

შეჯიბრების პერიოდში სპორტსმენთა კვების ორგანიზაციის საქმე საექიმო მომსახურების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარეა და მაღალი სპორტული შედეგების საწინდარს წარმოადგენს.

ა. ალლაძე,

რესპუბლიკური საექიმო ფიზკულტურის დისპანსერის საექიმო კონტროლის კაბინეტის გამგე.

იმსჯელეს აქტუალურ საკითხებზე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შედგა კომკავშირულ-ფიზკულტურული აქტივის კრება. მოხსენებით უნივერსიტეტში მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის მდგომარეობის შესახებ გამოვიდა უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტის ფიზკულტურული განყოფილების გამგე ნ. ფოფხაძე.

მომხსენებელმა ილაპარაკა უნივერსიტეტის სტუდენტ-სპორტსმენთა ღვაწლზე რესპუბლიკის სპორტული ღირსების დაცვის საქმეში. უნივერსიტეტის სტუდენტები არიან სახელოვანი ქართველი მოჭიდავეები ვ. რუბაშვილი და დ. გვანცელაძე, საბჭოთა კავშირის თასის მფლობელი ფარიკაობაში ნ. ასათიანი, თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდის წევრი ი. ხაზარაძე და ბევრი სხვა. სტუდენტთა III საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა რ. ქვაჩაკიძე, ხოლო პრიზიორები არიან ლ. იევლევა, ჩ. მდივანი, უ. ლეჟავა და სხვა.

უნივერსიტეტის სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს 163 საქალაქო, რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში. აქედან 78 პირველი, 48 მეორე და 27 მესამე ადგილი მოიპოვეს.

— მაგრამ ამ წარმატებათა მიღმა, — თქვა მომხსენებელმა, — იმალება სერიოზული ნაკლოვანებანი, რომელთა აღმოფხვრა ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის სპორტსმენთა სპორტული დონის ამაღლებასა და შეჯიბრებებში კიდევ უფრო წარმატებით გამოსვლას.

პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის სპორტული ბაზები ვერ აკმაყოფილებს სპორტსმენთა მოთხოვნებს. მაგალითისათვის საკმარისია მოვიყვანოთ ასეთი ფაქტი: მეორე კორპუსის სპორტული დარბაზი საერთო ზომის ნახევარია. ცხადია, რომ ასეთ დარბაზში კარჯიში შეჯიბრებისათვის დამახასიათებელ ჩვევებს ვერ გამოუმუშავებს სპორტსმენებს.

— მთავარი ნაკლი კი, — განაგრძო მომხსენებელმა, — ის არის, რომ თითქმის არავითარი მუშაობა არ წარმოებს ფაკულტეტებზე. აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად საჭიროა ფაკულტეტებზე მუშაობის ფართოდ გაშლა, სპორტული ბაზების საკითხის გადაჭრა, თბილისის ზღვის მიდამოებში სპორტული გამაჯანსაღებელი ბანაკის რაც შეიძლება სწრაფად დამთავრება.

მოხსენების გარშემო გაიმართა ცხოველი კამათი. უნივერსიტეტის კალათბურთელთა გუნდის წევრის გ. ლოჩოშვილის გამოსვლაში იგრძნობოდა სინანული და გულისტკივილი გუნდის წარუმატებლობაზე საკავშირო სარბიელზე, რაშიც იგი ბრალს სდებდა „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური საბჭოს ხელმძღვანელობას, რომელმაც მიუტევებელი დაუდევრობა გამოიჩინა გუნდის მიმართ.

კამათში მონაწილეობა მიიღეს პროფ. ლ. გორგილაძემ, რესპუბლიკის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. სამსონაძემ, ზ. მუშკუდიანმა, კ. ზაუტაშვილმა, ხ. ასათიანმა, გ. სარაჯიშვილმა, რ. ურიდიამ, კ. კობახიძემ.

დასასრულ კრებამ მიიღო სათანადო დადგენილება.

კენჭისყრა შედგა

ამსტერდამში გაიმართა ფეხბურთში ევროპის თასის გათამაშების საორგანიზაციო კომიტეტის სხდომა. ამ სხდომაზე მოეწყო კენჭისყრა ტურნირში მონაწილე გუნდების მეორე წრის წყვილების შესადგენად.

კენჭისყრის შედეგად სსრ კავშირის ნაკრები, რომელიც პირველ წრეში თავისუფალი იყო, შეხვდება იტალიისა და თურქეთის გუნდებს შორის გამარჯვებულს. ვინაიდან იტალიელებმა პირველი მატჩი თურქებს მოუგეს ანგარიშით 6:0, უნდა ვივარაუდოთ, რომ საბჭოთა კავშირის ნაკრების მოწინააღმდეგე იქნება იტალია.

კრივს ჭირდება თქვენი დახმარება

რამდენიმე წლის წინ ჩვენმა რესპუბლიკამ რადიომაუწყებლობის საშუალებით მრავალი სპორტისმოყვარული შეიძინა. ეთერში ხშირად გაისმოდა ფეხბურთისა და კალათბურთის კომენტატორის ხმა, რომელიც საინტერესოდ და მიმზიდველად გადმოსცემდა სპორტის უმნიშვნელოვანეს ამბებს სხვადასხვა ქალაქებიდან.

დიდი სიხარულით აღნიშნეს რესპუბლიკის მშრომელებმა პირველი სატელევიზიო გადაცემა 1956 წელს. მას შემდეგ რამდენი სიხარული და ბედნიერება განიცადეს თბილისელებმა და მახლობელი ქალაქების მცხოვრებლებმა ამ გადაცემებით. ყველას ხომ არ შეუძლია დაესწროს სპექტაკლს ან კონცერტს, ფეხბურთის მატჩს, ან საესტრადო ორკესტრის გამოსვლას. ტელევიზია მოვიდა მათ სამსახურში და მშრომელთა დასვენებამ ახალი, სრულყოფილი სახე მიიღო.

არ არის საიდუმლო, რომ ფეხბურთი სპორტის ყველაზე უფრო პოპულარული სახეობაა. ტელევიზიის საშუალებით კი იგი უფრო ახლოს მივიდა მოსახლეობასთან, ახალგაზრდებთან. საფეხბურთო სკოლებს, სპორტულ ორგანიზაციებს ახალი შევსება გაუჩნდა. ტელეგადაცემების დახმარებით გაიზარდა კალათბურთის, ფრენბურთისა და ჭიდაობის პოპულარობა. ყველაფერი ეს კი გამოიწვია იმან, რომ ტელე-ეკრანებზე სულ უფრო ხშირად ვნახულობთ სპორტულ გადაცემებს, რეპორტაჟებს.

ჩვენს რესპუბლიკას კრივის კარგი ტრადიციები აქვს. მაგრამ სამწუხაროდ, უკანასკნელ ხანებში მისი პოპულარობა საგრძნობლად დაეცა. მოკრივეთა შეხვედრებმა დაკარგეს სიმწვავე, შინაარსი და ახალგაზრდობამ იბრუნა პირი მისგან.

ტელევიზიას დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია მოკრივეებისათვის. ტელეგადაცემები კრივს უფრო მეტად პოპულარულს გახდის ჩვენს რესპუბლიკაში. ახალგაზრდები დაინტერესდებიან ტყავის ხელთათმანის ოსტატთა გამოსვლებით და უფრო გაბედულად შეაღებენ სავარჯიშო დარბაზების კარს. ჩვენს კრივს ჰკირდება ახალი კადრები და ამაში დიდი დახმარების გაწევა შეგიძლიათ თქვენ, ძვირფასო ტელემუშაკებო, თქვენი მიმზიდველი რეპორტაჟებით რინგიდან.

ე. კელბაქიანი

საქართველოს
ჩემპიონატი

პირველი ტური

24 მარტს დაიწყო საქართველოს 1963 წლის ჩემპიონატი ფეხბურთში.

რესპუბლიკური პირველობის გახსნის ცერემონიალი შედგა თბილისში 26 კომ. სახ. რაიონის სტადიონზე, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ისანი" და ლანჩხუთის „გურია". მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაციის თავმჯდომარემ ამხ. გ. ჯინჭარაძემ.

თამაში დაიწყო გარდამავალი უპირატესობით, მაგრამ სტუმრებმა მალე შეძლეს რამდენიმე სახიფათო მომენტის შექმნა. „ისანმა" მოიგერია ეს შეტევა და მცირე ხანში საპასუხო კონტრიერიშზე გადავიდა, რასაც პირველი წარმატებაც მოჰყვა. ეს მოხდა 36-ე წუთზე, ხოლო მეორე ტაიმში თბილისელებმა ანგარიში გაზარდეს ორამდე. დარჩენილ დროში „გურია" ენერგიულად უტევდა მოწინააღმდეგეს, მაგრამ გუნდმა შეძლო მხოლოდ ერთი ბურთის გატანა. ანგარიშით 2:1 გაიმარჯვა „ისანმა".

აღნიშნული მატჩის დამთავრების შემდეგ ამავე სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდი (თბილისი) და „მერცხალი" (მახარაძე). სტუმრებმა კარგად დაიწყეს თამაში, მაგრამ თავდამსხმელები აგვიანებდნენ კარში დარტყმას. 26-ე წუთზე სტუდენტებს ჰქონდათ ანგარიშის გახსნის რეალური შესაძლებლობა, მაგრამ მახარაძელთა მცველმა უკანასკნელ მომენტში გამოიტანა ბურთი კარიდან. ორმხრივ იერიშებში მიმდინარეობდა თამაშის მეორე ნახევარიც, მაგრამ ვერც ერთმა გუნდმა ვერ შეძლო ანგარიშის გახსნა — 0:0.

ცხაკაიაში შედგა მატჩი ადგილობრივ „ცისკარსა" და ჭიათურის „მაღაროელს" შორის. პირველ წარმატებას მიაღწიეს სტუმრებმა, რომლებმაც კარგად გამოიყენეს საჯარიმო დარტყმა. ცხაკაიელებმა მხოლოდ შესვენების შემდეგ შეძლეს გაეტანათ ერთადერთი საპასუხო ბურთი და ფრედ დაემთავრებინათ შეხვედრა — 1:1.

დიდი ანგარიში იქნა ფიქსირებული ქუთაისის „იმერეთისა" და რუსთავის „მეტალურგის" შეხვედრაში, რომელიც ჩატარდა ქუთაისში. მასპინძლებს სრული უპირატესობა ჰქონდათ ორივე ტაიმის განმავლობაში, რამაც ნათელი გამოხატულება ჰპოვა ანგარიშში: 8:0 ქუთაისელთა სასარგებლოდ.

კარგად ჩაატარეს პირველი მატჩი თელავის „ნადიკვარის" ფეხბურთელებმა, რომლებიც საკუთარ მინდორზე ეთამაშებოდნენ ფოთის „მექანიზატორს". „ნადიკვარმა" მოწინააღმდეგე დაამარცხა ანგარიშით 3:0.

ბათუმის „განთიადი" თბილისში შეხვდა ადგილობრივი „გვირაბმშენის" გუნდს. ბათუმელთა ერთ-ერთი შეტევისას „გვირაბმშენის" მცველმა არაზუსტად ითამაშა და საკუთარ კარში გაიტანა ბურთი. შესვენების შემდეგ ბათუმელებმა ვერ გამოიყენეს 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა და დასჯერდნენ გამარჯვებას მინიმალური ანგარიშით — 1:0.

რესპუბლიკური თასის მფლობელი — ზესტაფონის „მეტალურგი" თამაშობდა გეგეჭკორში ადგილობრივი „სალხინოს" წინააღმდეგ. სტუმრებმა კარგი თამაში აჩვენეს და დაამარცხეს მოწინააღმდეგე ანგარიშით 2:1.

ტყიბულის „მეშახტისა" და გორის „დილას" შეხვედრაში ანგარიში გახსნილ იქნა თამაშის დასაწყისშივე: „მეშახტეს" მიეცა 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმის უფლება, რომელიც მან გამოიყენა კიდეც — 1:0. ტაიმის დასასრულს ტყიბულელებმა კიდევ ერთი ბურთი გაიტანეს და შესვენებაზე წავიდნენ ანგარიშით 2:0 თავიანთ სასარგებლოდ. მეორე ტაიმში სტუმრები საგრძნობლად გააქტიურდნენ, მაგრამ მათი გადამწყვეტი დარტყმები მეტად არაზუსტი იყო. თამაშის დასასრულს ტყიბულის გუნდმა კვლავ ხელთ აიღო ინიციატივა და კიდევ ერთი ბურთი გაიტანა გორელთა კარში — 3:0.

საინტერესო ბრძოლაში მიმდინარეობდა მატჩი ზუგდიდში ადგილობრივ „ოდიშსა" და თბილისის „სინათლეს" შორის. თამაშის პირველ ნახევარში ერთგვარი ტერიტორიული უპირატესობა თბილისელებს ჰქონდათ, რომლებმაც გახსნეს კიდეც ანგარიში, მაგრამ შესვენების შემდეგ ზუგდიდელთა კონტრიერიშების შედეგად ანგარიში გათანაბრდა — 1:1. დარჩენილ დროში მინდორზე მიმდინარეობდა დაძაბული ბრძოლა, რომლის დროსაც თბილისელთა თავდამსხმელმა აბრახამიამ შეძლო გადამწყვეტი ბურთის გატანა — 2:1.

ახალციხის „მესხეთისა" და ყვარლის „დურუჯის" შეხვედრაში (მატჩი შედგა ახალციხეში) მასპინძლებს დიდი უპირატესობა ჰქონდათ დასაწყისშივე, მაგრამ ამ უპირატესობის რეალიზაცია მათ პირველ ტაიმში ვერ შეძლეს. მხოლოდ მეორე ტაიმში მიაღწიეს მესხეთელებმა გამარჯვებას ანგარიშით 3:0.

თანაბარ ბრძოლაში ჩატარდა მატჩი ცხინვალში ადგილობრივ „ბურევესტნიკსა" და გურჯაანის „კახეთს" შორის. მოწინააღმდეგეებმა ერთმანეთის კარში გაიტანეს თითო ბურთი — 1:1.

სოხუმის დინამოელებმა თავიანთ მინდორზე მიიღეს ბორჯომის „განთიადი". ორივე გუნდი თამაშობდა ენერგიულად, მონდომებით და ამ ბრძოლაში გამარჯვება დარჩათ მასპინძლებს — 3:2.

კარგად იყო ორგანიზებული სეზონის გახსნა ტყვარჩელში, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „მეშახტე" და სამტრედიის „ლოკომოტივი". მატჩის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა ბურთმა, რომელიც რკინიგზელებმა გაიტანეს „მეშახტის" კარში. თამაშის დამთავრების შემდეგ სამახსოვრო თასები გადაეცათ მატჩის საუკეთესო მცველსა და თავდამსხმელს. პირველი პრიზი მიიღო ტყვარჩელელმა ე. ანუსმა, ხოლო მეორე — სამტრედიელმა ს. ფედოტოვმა.

ქობულეთის „შუქურას" თავისი პირველი შეხვედრა ჰქონდა თბილისში ადგილობრივი ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდთან. სტუდენტები დაწინაურდნენ ჯერ კიდევ პირველ ტაიმში — 2:0, ხოლო საბოლოოდ გაიმარჯვეს ანგარიშით 5:1.



ტრადიციულ მატჩზე

კარგ ტრადიციად დამკვიდრდა საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთისა და მოლდავეთის პროფკავშირთა სპორტული საზოგადოებების „განთიადის", „ნეფტიანიკის", „აშხატანქისა" და „მოლდოვას" მძლეოსანთა სპორტული სკოლების აღსაზრდელთა სამატჩო შეხვედრები საკავშირო პროფსაბჭოს პრიზზე. ამჯერად ეს ტურნირი თბილისში, „ბურევესტნიკის" სტადიონზე მიმდინარეობს.

შეჯიბრების პირველმა დღემ, როცა გამარჯვებული გამოვლინდა სპორტის ექვს სახეობაში, ცხადყო „ნეფტიანიკისა" და „განთიადის" კოლექტივების უპირატესობა. ბაქოელი სტუმრები შეჯიბრებაზე ორი გუნდით არიან წარმოდგენილი და საკმაოდ ძლიერი სპორტსმენებითაც. ბრძოლა პირადი პირველი ადგილებისათვის ძირითადად სწორედ ამ ორ საზოგადოებას შორის მიმდინარეობდა. საქართველოს სპორტსმენებმა სამ სახეობაში ისახელეს თავი, ბაქოელებმა — ორში და მხოლოდ ერთ სახეობაში დაისაკუთრა პირველობა „მოლდოვას" გუნდის წევრმა.

მართალია პირადში უპირატესობა „განთიადის" მძლეოსანთა მხარეს იყო, მაგრამ გუნდურში პირველი დღის შემდეგ დაწინაურდნენ „ნეფტიანიკის" I გუნდის სპორტსმენები. ისინი მხოლოდ 3 ქულით უსწრებდნენ მასპინძლებს.

პირადში ჭაბუკთა შორის ბადროს ტყორცნაში კარგად გამოეიდნენ ა. ბაგური და ო. ოდიშვილი. პირველმა ბადრო გაგზავნა 49,43 მ-ზე და გაიხალდა პირველი ადგილი. სამაგიეროდ, ო. ოდიშვილსა და ვ. გასპაროვს („ნეფტიანიკი" I) ერთნაირი შედეგი — 46.83 მ აღმოაჩნდათ, მაგრამ იმის გამო, რომ საკვალიფიკაციო შეჯიბრებაზე უკეთესი მაჩვენებელი ჰქონდა ოდიშვილს, მეორე ადგილიც მას მიეკუთვნა.

ჭაბუკთა 60 მ რბენის ფინალში ფინიშზე ერთნაირი შედეგებით მოვიდნენ ზ. სარქისიანი („განთიადი") და ა. იუსუფიანი („აშხატანქი"). წინასწარ გარბენში მართალია ერევნელს 0,1 წამით უკეთესი შედეგი—7,1 ჰქონდა, მაგრამ ამჯამად მკერდით წინ მისვლამ უპირატესობა თბილისელ სპორტსმენს მოუტანა. თბილისელ ე. ბერინბერგს დარჩა გამარჯვება გოგონათა შორის ბირთვის კვრაში. მან 12.62 აჩვენა და 2.45 მ-ით ჩამოიტოვა მეორე პრიზიორი ზ. სალდაბაევა („ნეფტიანიკი" II).

ბაქოელი სპორტსმენები ი. ტრეტიაკი და ვ. დანილჩენკო (ორივე I გუნდიდან) მიუწვდომელნი იყვნენ ჭაბუკთა შორის სიმაღლეზე ხტომაში — 170 სმ. გოგონათა რბენა 60 მ მოიგო ე. მარჩუკმა („ნეფტიანიკი" I) — 8,4, ხოლო ვაჟთა შორის 600 მ ყველაზე კარგი დრო აჩვენა მოლდაველმა ვ. საპოჟნიკოვმა — 1.26,3.

სურათებზე: გოგონათა და ჭაბუკთა 60 მ რბენის ფინიშზე.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

კიდევ ერთი ნახევარფინალისტი

როგორც ცნობილია, კალათბურთში ევროპის ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში გასვლისათვის იბრძოდნენ ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონი „სლოვან ორბისი" და პორტუგალიის უძლიერესი საკლუბო კოლექტივი „ბენფიკა".

პირველი შეხვედრა, რომელიც გაიმართა ლისაბონში, აღინიშნა ჩეხების აშკარა უპირატესობით, რომლებმაც მოიგეს ანგარიშით—87:32. განმეორებითი მატჩი ამ გუნდებს შორის შედგა პრაღაში. გამარჯვება ამჯერადაც ჩეხების მხარეს იყო — 81:30. „სლოვან ორბისი" გავიდა თასის გათამაშების ნახევარფინალში. ამ გუნდის გარდა თასის გადამწყვეტ ეტაპში მონაწილეობის უფლება მოპოვებული აქვთ თბილისის „დინამოს" და მოსკოვის ცსკა-ს.

ფეხბურთის ქრონიკა

სან-პაულუ. მაყურებელთა შორის ნამდვილი ხელჩართული ბრძოლა და პოლიციელთა სრული მობილიზაცია გამოიწვია „სანტოსისა" და „სან-პაულუს" მატჩმა ბრაზილიის თასზე. სტადიონი ბრძოლის ველს დაემსგავსა და პოლიციამ დიდი გაჭირვებით შეძლო წესრიგის აღდგენა. ერთი კაცი მოკვდა, ათი მძიმედ დაიჭრა — აი ამ შეხვედრის საგაზეთო ანგარიში. „სან-პაულუს" კოლექტივმა ვერ გაუწია ჯეროვანი წინააღმდეგობა „სანტოსს" და წააგო ანგარიშით 1:5. ხუთივე გოლი პელემ გაიტანა.

რბოლა თოვლ-ჭყაპში...

სოხუმის რაიონში ლეჩქოფში ამას წინათ მოტორბოლის საკავშირო ფედერაციის, საბჭოთა კავშირის ცენტრალური ავტომოტოკლუბისა და აფხაზეთის დოსააფის რესპუბლიკური კომიტეტის ინიციატივით მოეწყო მოტოკროსი.

შეჯიბრებაში, რომელიც ძლიერ თოვლსა და მეტად რთულ ტრასაზე მიმდინარეობდა, მონაწილეობდნენ ჩვენი ქვეყნის უძლიერესი მოტომრბოლელები. მათ შორის იყვნენ დიდი საერთაშორისო და საკავშირო ტურნირების მონაწილენი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონები — სპორტის დამსახურებული ოსტატები ნ. სოკოლოვი (მოსკოვი, ცსკა) და მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორი რ. რეშეტნიკსი (რიგა, დოსააფი), სპორტის ოსტატები — საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონი ს. კადუშკინი (ლენინგრადი, დოსააფი), ჩვენი ქვეყნის ორგზის ჩემპიონები ი. გრიგორიევი (კიევი, სკა) და ა. დეჟინოვი (ლენინგრადი, დოსააფი), აგრეთვე საერთაშორისო შეჯიბრებების პრიზიორები ა. საველიევი, ი. რომანოვი, ა. იაკოვლევი, ვ. არბეკოვი (ყველა მოსკოვის ცსკა-დან), სპორტის ოსტატი, სოხუმელი ვ. ჩაპრავა და სხვები.

სტარტზე პირველნი გამოვიდნენ 250 კუბატურიანი კლასის მოტოციკლებით შეჯიბრების მონაწილენი. სპორტსმენები ერთმანეთის მიყოლებით გადიან დისტანციას, თოვლი თვალებში სცემთ, სიცივისაგან ხელები ეყინებათ, გრუნტი მოლიპულია... მთელი გზის მანძილზე ლიდერობდა კიეველი ი. გრიგორიევი. მან პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი, მეორე ადგილზე გამოვიდა ვ. არბეკოვი, მესამეზე — ს. ჩირცევი (იჟევსკი, „ტრუდი").

500 კუბ. სანტიმეტრის კლასის მოტოციკლებით შეჯიბრებაში თავიდანვე დაწინაურდა ს. კადუშკინი, რომელიც საბოლოოდ გამარჯვებულიც გამოვიდა.

მიუხედავად ცუდი ამინდისა, შეჯიბრებას დაესწრო **10.000**-ზე მეტი მაყურებელი.

ვ. სემიონოვი

* * *

სურათზე: შეჯიბრების დისტანციაზე.

წინაპართა ნაკვალევზე

გაზეთ „ლელოში" გამოქვეყნებულ ვ. აფრიდონიძის წერილში (იხ. „ლელო", № 248-249, 1962 წ.) — „საქართველოში მძლეოსნობის ისტორიის საკითხისათვის" — ავტორი ცდილა გაეშუქებია ფაქტი იმისა, რომ ჩვენი წინაპრებისათვის უცხო ხილი არ ყოფილა შეჯიბრებანი მძლეოსნობაში, კერძოდ — რბენაში. ავტორი საყურადღებო საკითხს მოჰკიდებია და ბევრი საინტერესო ფაქტიც ამოუკრეფია ძველქართული და უცხოური წყაროებიდან. ამდენად, მიზნად არ გვაქვს რაიმე მივუმატოთ ან გამოვაკლოთ „საქართველოში მძლეოსნობის ისტორიის საკითხს". ჩვენ გვსურს მხოლოდ ის აღვნიშნოთ, რომ ძველი ქართული წყაროებით სარგებლობისას მკვლევარი მეტი გულისყურით უნდა მოეკიდოს საქმეს, რათა უხერხულ მდგომარეობაში არ ჩაიყენოს თავი. მივმართოთ მაგალითებს. ვ. აფრიდონიძე წერს:

„არჩილისათვის ცნობილი ყოფილა, რომ **გამარჯვების მოპოვებისათვის არაა საკმარისი „ფეხით მსუბუქობა"**, რომ მისთვის (!) საჭიროა აგრეთვე **გამძლეობის გამომუშავება, რათა მორბენალს ფეხი არ მოეღალოს, როგორც თვით არჩილი აღნიშნავს, ფეხი არ მოეკვეთოს"**. (ხაზი ჩვენია გ. ჯ.) და თავისი აზრის გასამტკიცებლად აქვე მოჰყავს ნაწყვეტი ლექსიდან:

„ფერხნი არ ვარგა ასეთი, სადაგინდ წაეკვეთოდეს,
ასეთ რაზედმე წავიდეს, იმ საქმით მოეკვეთოდეს",

„ფერხთა დიდება ეს არის, ფიცხობდეს, მერმე მალობდეს,
მალ მიაშუროს კარგ საქმეს და ავსა დაემალოდეს".

რისი თქმაც უნდოდა არჩილს ამ სიტყვებით, გასაგებია. პოეტი აქ არ ლაპარაკობს გამძლეობის გამომუშავებაზე, ფეხის მოუღლელობასა და ვარჯიშზე „გამარჯვების მოპოვებისათვის". პოეტი ამ ლექსით არიგებს, უკიჟინებს იმ ფეხმარდ მორბენალს, რომელიც საცა არ გინდა იქ წაეხეტება, წაეხირება — „სადა გინდ წაეკვეთოდეს", ისეთ საქმეზე წავა, მასვე რომ ფეხს მოჰკვეთს.

სიტყვა მოკვეთის მრავალი სინონიმი შემოინახა ქართულმა ენამ; როცა ცოდვამოკიდებულ კაცს საქმეს ისე გაუხდიან, რომ შინ მისასვლელი პირი აღარ ექნება, იტყვიან — ოჯახიდან ფეხი ამოუკვეთესო. როცა ცუდი ამბის მოსმენისას კაცი გულშემოყრილივით შეიქმნება, იტყვიან — მუხლთ მოეკვეთაო და სხვა. მოკვეთაა, აგრეთვე, მოჭრაც. აი სწორედ ასეთი მნიშვნელობით ხმარობს არჩილი ამ სიტყვას, როცა გვეუბნება: არ ვარგა, არ ვაქებ ფეხს (მორბენალს), ისეთ (ცუდ) საქმეზე მოსიარულეს, რომელიც მასვე მოჰკვეთს, მოსჭრის (ფეხს). მაშ სადღაა აქ „გამძლეობის გამომუშავება" „გამარჯვების მოპოვებისათვის", რომელიც არჩილისათვისაც „ცნობილი ყოფილა"?

ვ. აფრიდონიძე ხანდახან წყაროებს მეტად ზერელედ ეკიდება, იმოწმებს რა ვახუშტი ბაგრატიონის ცნობას: „ვიეთნი 33 ეჯს 14 ჟამს გაირბენდნენო", ვ. აფრიდონიძეს მანძილის ძველებური საზომი **ეჯი** კილომეტრებში ასეთი ხერხით გადააქვს:

„ეჯი, ს. ს. ორბელიანის განმარტებით, სამ მილს შეიცავს (!): „ეჯი სამი მილი ერთი ეჯი არის", ხოლო „მილი სხუათა ენაა, ქართულად სოლინარი ჰქვია", სოლინარი კი „წყალთა მილია", ე. ი. საზღვაო მილია (?!), რომელიც 1852 მეტრს უდრის. თუ ეჯი სამ მილს შეიცავს, ხოლო მილში კი 1852 მეტრია, ეჯის ზომა (!) უდრის 1852×3=5556 მეტრს. მაშასადამე, 33 ეჯი უდრის 5556×33=183348 მეტრს, ე. ი. 183 კმ და 348 მეტრ მანძილს, ჟამი კი დროის საზომი ერთეულია და საბას განმარტებით, უდრის ერთ საათს. ამრიგად, ყოფილან მორბენლები, რომლებიც 14 საათში 183 კილომეტრსა და 348 მეტრ მანძილს გარბოდნენ...".

ეს ვრცელი ამონაწერი ტყუილად არ მოვიტანეთ. აქ მკვლევარი უბრალო წყალსადინარ მილს საზღვაო მილში აიგივებს და ერთბაშად 1852-მეტრიან უცნაურობას გვთავაზობს. ვ. აფრიდონიძის მტკიცება: „სოლინარი კი „წყალთა მილია", ე. ი. საზღვაო მილია, რომელიც 1852 მეტრს უდრის" — უცნაურობაა.

„სიტყვის კონაში" 210 გვერდზე საბა მართლაც განმარტავს: **„მილი სხუათა ენაა, ქართულად სოლინარი ჰქვია"** (იხ. „სიტყვის კონა". სახელგამი. 1949 წ. ს. იორდანიშვილის რედაქცია.). მაგრამ თუ აფრიდონიძე 211 გვერდშიც ჩაიხედავდა, იქ შეძლებს წაიკითხავდა: **„მილი ფრანგულად 1000 ბიჯი"**... ამის შემდეგ იქნებ უფრო ადვილი მისახვედრი ყოფილიყო, რომ 325 გვერდზე განმარტებული: **„სოლინარი** წყალთ მილი" ჩვეულებრივი წყალსადინარი მილია და არა საზღვაო მილი. მეტი დამაჯერებლობისათვის ენახა ნ. ჩუბინაშვილის „ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ", სადაც 369 გვერდზე წერია: **„სოლინარი** წყალთ გასადინარი მილი, ლულა"... ეგეც არ იყოს, ხმელეთზე მორბენალი კაცის რბენის სისწრაფეს არავინ არ გამოთვლიდა საზღვაო მილებით, ისიც XVII-XVIII საუკუნეში.

მიუხედავად ლაფსუსებისა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვ. აფრიდონიძის მიერ წამოჭრილი საკითხი საყურადღებოა. ალბათ ჩვენს მკითხველთათვისაც არ იქნება უინტერესო, თუ შემთხვევით ვისარგებლებთ და დავადგენთ, მაინც რა სისწრაფით დარბოდნენ ჩვენი წინაპრები?

ეს ცოტა ძნელი დასაზუსტებელია, რადგან არც საბა, არც ჩუბინაშვილი არ გვაძლევენ ეჯის, როგორც მანძილის საზომის, დადგენილ ერთეულს. მიუხედავად ამისა, ვცადოთ და გავცეთ პასუხი კითხვას, თუნდაც მიახლოებითი:

რაკი **ეჯი** სამი ფრანგული მილია, მილი — ათასი ბიჯი, ეჯი 3000 ბიჯი ყოფილა. საბა განმარტავს: „...ბიჯი და ნაბიჯი განიყოფებიან; ნაბიჯი არს ერთი ფერხისა გარდადგმა, ხოლო ბიჯი მეორისა გარდანაცულება, რომელი ზომით იქმნების ხუთი ტერფი" („სიტყ. კონა" გვ. 50).

ჩუბინაშვილი გვასწავლის: **„ბიჯი** ერთის ფეხის გარდადგმა და ნაბიჯი მეორის გარდანაცულება, რომელ ორივე ერთად შეიქმნას 5 ტერფი ფეხისა, ანუ ერთი მხარი"... (ჩუბინაშვილი, გვ. 152).

აქ საბა და ჩუბინაშვილი ერთმანეთს არ ეთანხმებიან მხოლოდ ერთ რამეში: ის, რაც პირველისათვის **ბიჯია**, მეორის განმარტებით **ნაბიჯია.** მაგრამ თანხმდებიან ჩვენთვის საინტერესო საკითხში, რომ თუნდაც ღლევანდელი გაგებით ორჯერ გადადგმული ნაბიჯი „...ერთად შეიქმნას 5 ტერფი ფეხისა..." **ტერფი კი არის** „...ფეხის ქვეშეთი სიფართოვე... ზომის ტერფი ფეხსაცმელითურთ, ამგუარი ხუთი ტერფი არს ერთი ნაბიჯი, ანუ ორჯელ ფეხის გარდადგმა". (ჩუბინაშვილი, გვ. 377).

მამაკაცის 42 ზომის ფეხსაცმლის ძირი 30 სანტიმეტრია. მაშასადამე, ნაბიჯი, გნებავთ საბასეული ბიჯი, 150 სმ ყოფილა, ხოლო **ეჯი — 450.000 სმ** — (150 სმ×3000=450.000 სმ-ს), ანუ **4,5 კმ-ს.**

მაგრამ ეს მონაცემი რომ ეჯის საბოლოო ზომად მივიღოთ, საჭიროა ეჯი იმ დროს არსებულ სხვა საზომებითაც გამოვთვალოთ და მიღებული მონაცემები ერთმანეთს კრიტიკულად შევადაროთ. ჩუბინაშვილს, მაგალითად, ეჯის ცალკე განმარტებაც აქვს: **„ეჯი** ექუსი ათასი ნაბიჯი, ანუ მხარი (ნახე მილი", ჩუბინაშვილი, გვ. 213).

ნაბიჯი რომ 150 სანტიმეტრია, უკვე ვიცით. მხარი კი, ჩუბინაშვილისავე განმარტებით, არის: „...საზომი მწვერვალით თითთათ ვიდრე მკერდამდე, ხოლო ზოგჯან ჰნიშნავს ორთავე ხელთა გაშლასა საჟენი"... (ჩუბ. გვ. 308). მაშასადამე, გარდა ბიჯისა ანუ ნაბიჯისა (150 სმ), არსებულა კიდევ ორი საზომი: **მხარი** — „მწვერვალით თითთათ ვიდრე მკერდამდე", ანუ დაახლოებით ერთი მეტრი და **მხარი** „ორთავე ხელთა" გაშლა, საჟენი, ანუ ორი მეტრი. თუ ამ განზომილებებს ეჯის ჩუბინაშვილისეულ განმარტებაში ჩავსვამთ, ეჯი ერთ შემთხვევაში — 9, მეორე შემთხვევაში—6 და მესამე შემთხვევაში — 12 კმ გამოვა. და თუ არც მილს დავივიწყებთ, რომელიც მისივე თქმით იგივე ეჯია, ანუ რუსული შვიდი ვერსი (ჩუბ. „ქართ. ლექს", გვ. 281). მივიღებთ ეჯის მეხუთე განზომილებას — 7.420 მეტრს (ერთი რუსული ვერსი=1060 მეტრს).

ახლა კი გავიხსენოთ აფრიდონიძის მიერ მოყვანილი ვახუშტისეული ცნობა, რომ „ვიეთნი 33 ეჯს 14 ჟამს გაირბენდნენო" და მივუყენოთ მას ზემოაღნიშნულ საზომთაგან ერთ-ერთი. ცხადია, ყველა ამ საზომებიდან მხოლოდ საბასეული საზომი უნდა გამოვიყენოთ, რადგან ჯერ ერთი, ვახუშტი საბას თანამედროვეა და ჩვენი სასიქადულო ისტორიკოსი და გეოგრაფი, უდავოდ, მის დროს არსებულ საზომს დაეყრდნობოდა. მეორეც, 33-ჯერ 4,5 კმ-ის, ანუ 148,5 კმ-ის 14 საათში დაფარვა ადამიანის ფიზიკურ შესაძლებლობასთან უფრო ახლო დგას, ვიდრე 6, 9, 12 კმ-ის, ან რუსული 7 ვერსის 33-ჯერ გარბენა 14 საათში.

ძველ ქართველ მორბენალთა სიმარდისა და უდიდესი გამძლეობის დამადასტურებელი ვახუშტისეული ქვირფასი ცნობა და საბას დიდებულ „სიტყვის კონაში" შენახული ფასდაუდებელი მარგალიტები დღეს საშუალებას გვაძლევენ ისიც გავარკვიოთ, ბევრად ჩამორჩებოდნენ (წმინდა სპორტული თვალსაზრისით) ძველი მორბენლები თანამედროვე მსოფლიოს მარათონელებს? მარათონული მანძილი 42.195 მეტრია. მსოფლიო რეკორდი მარათონულ რბენაში დღეს ეკუთვნის ეთიოპიელ მძლეოსანს ბიქილა აბებეს — 2 საათი, 15 წუთი, 16,2 წამი. ევროპისა და საბჭოთა კავშირის რეკორდსმენი ამ სახეობაში ს. პოპოვი მარათონს 2 საათსა, 15 წუთსა და 17 წამში ფარავს. ფენომენალური შედეგებია! საქართველოს რეკორდი ეკუთვნის ვ. ზახაროვს — 2 საათი, 28 წუთი, 1,6 წამი. მსოფლიო რეკორდსმენ აბებეს წუთში საშუალოდ 311,93 მეტრი გაურბენია. ჩვენს წინაპრებს, რომელთაც 148.5 კილომეტრი 14 საათში დაუფარავთ, წუთში საშუალოდ 176,8 მეტრი გაუვლიათ. მაგრამ 148,5 კმ ხომ სამნახევარჯერ აღემატება მარათონულ მანძილს და მის დაფარვას, ცხადია, სულ ცოტა სამნახევარჯერ მეტი გამძლეობაც უნდა. ახლა ისიც გავითვალისწინოთ, რომ იმ დროის მორბენლები ნაკლებად იცავდნენ რეჟიმს, დარბოდნენ ცუდ გზებზე, და მაშინ დასკვნაც თავისთავად მოდის: ძველი ქართველი მორბენლები თანამედროვე მარათონელებზე ნაკლები მძლეოსნები არ ყოფილან! ეს სასიხარულოა და ღსანანიც. დასანანი იმიტომ, რომ დღეს ქართველი სპორტსმენები ნაკლებად მისდევენ მძლეოსნობის ამ საინტერესო სახეობას — გრძელ მანძილზე რბენას.

დასასრულს, გვინდა აღვნიშნოთ, რომ ვ. აფრიდონიძეს ქართული სპორტის ისტორიის შესახებ ბევრი მასალა აქვს გამოქვეყნებული და ალბათ კიდევ მეტს გამოაქვეყნებს. მას მხოლოდ ის გვსურს ვუსურვოთ, რომ მომავალში მეტი გულისყურით მოეკიდოს საქმეს.

რაც შეეხება წერილის ბოლოს გამოთქმულ სინანულს, იგი ამ მართლაც სამწუხარო ფაქტით გამოწვეული გულისტკივილის შედეგია და ამ ტკივილმა გვათქმევინა თავისი სიტყვა.

გიორგი ჯინჭარაძე

რედაქტორი ი. უგულავა.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო", ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნის და განყოფილებების — 3-35-09, გამომშვების — 3-01-06.

ЛЕЛО
ИНДЕКС 66448

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 07851